ხელშეკრულება № 20

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წყალტუბო 14 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელ ბროწეულას საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის შოთა კუბლაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,არქიტექტი"-ს დირექტორი იაკობ ჭიღლაძე (შემდგომში - მიმწოდებელი) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბროწეულას საჯარო სკოლის შეკეთების სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო (ტექნიკური დოკუმენტაციის) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

2.3. კლასიფიკატორის კოდი 71300000

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 კალენდარული ვადაში ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს,

იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წ 31 აგვისტომდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
Sps `arqiteqti~	სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელ ბროწეულას საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. ქუთაის ივ. ჯავახიშვილის I შეს. 22/120	მისამართი: სოფელი ბროწეულა
ტელეფონი: 551747406	ტელეფონი: 577 96-55-05
საიდენტიფიკაციო კოდი 412686669	საიდენტიფიკაციო კოდი: 221269598
საბანკო რეკვიზიტები: სს თბს ბანკი ქუთაისის ფილიალი	საბანკო რეკვიზიტები: სს ლიბერთი ბანკი
საბანკო კოდი: TBCBGE22	საბანკო კოდი: LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE19TB7020236080100003	ანგარიშსწორების ანგარიში: GE55LB0121144602523000
დირექტორი იაკობ ჭიოლაძე	დირექტორი შოთა კუბლაშვილი
----------	----------

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0250350561

19/07/2016
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	10:09:12

დრო (საათი, წუთი)

...ამს არქიტექტი	412686669
...ელ (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლა	221269598
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

...ორაციის ...ინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	null

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმული

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
	სანყინრო მომსახურება	71300000	ცალი	1.0000	100.0000	100.0000

13	100 - ასი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

...ოაკობ ჭიღლაძე
...ყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	შოთა კუბლაშვილი

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	19/07/2016	10:09:12
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

...ელ. დოკუმენტაციის მომზადება

* დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

...ვის თარიღი: 21/07/2016, 14:32:11

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბროწეულას საჯარო სკოლის შეკეთების
სამუშაოების
სახარჯთაღრიცხვო-საპროექტო
ტექნიკური დოკუმენტაციის

მიღება-ჩაბარების

აქტი №13

18 ივლისი 2016 წელი

წყალტუბო

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერებმა, შპს „არქიტექტი"-ს დირექტორმა იაკობ ჭიღლაძემ და სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელ ბროწეულას საჯარო სკოლის დირექტორმა შოთა კუბლაშვილმა 2016 წლის 14 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების ნიშნად შევადგინეთ მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც შპს „არქიტექტი"-ს დირექტორი იაკობ ჭიღლაძე აბარებს, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელ ბროწეულას საჯარო სკოლის დირექტორი შოთა კუბლაშვილი იბარებს, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბროწეულას საჯარო სკოლის სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო-საპროექტო ტექნიკურ დოკუმენტაციას, ღირებულებით 100 (ასი) ლარი.

ვადასტურებთ ხელმოწერით

შპს „არქიტექტი"-ს
დირექტორი ი. ჭიღლაძე

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელ ბროწეულას
საჯარო სკოლის დირექტორი შ. კუბლაშვილი

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 93

თარიღი: 2016 წლის 20 07, ოთხშაბათი

გადამხდელის დასახელება:	სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლა	
	ანგარიში (დებეტი): GE55LB0121144602523000	
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი: LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:		
საიდენტიფიკაციო კოდი:		საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:
მიმღების დასახელება:	შპს "არქიტექტი"	
საიდენტიფიკაციო კოდი:		ანგარიში (კრედიტი): GE19TB7020236080100003
მიმღების ბანკი:	სს "თიბისი ბანკი"	ბანკის კოდი: TBCBGE22
გადახდის დანიშნულება:	სკოლის შეკეთების სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღიცხვო (ტექნიკური დოკუმენტაციის) შესყიდვა.	

ხელმოწერა:

GEL

GEL

100.00

თანხა სიტყვიერად

ასი GEL და 00

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 20.07.2016

ხელმოწერა:

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან